№ 24 1917
კვირა თებერვლის 11

ფასი 20 კ.

წელიწადი მეხუთე
გამოცემისა



ოკაკი — ერის მიერ დადაფნილი
(დაიბადა 1840 წ. ივნისის 9, გარდ. 1915 წ. იანვ. 26).
ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა.

ეროვნული საკითხი

ნოე ჟორდანიის მოხსენებაში ეროვნული საკითხის შესახებ, რაც მან კავკასიის მუშათა და გლეხთა დელეგატების ყრილობაზე წაიკითხა, ასეთი სიტყვები და აზრია ერთ ალაგას:

პროლეტარიატი დაინტერესებულია მხოლოდ კულტურულ განვითარებისათვის ხელსაყრელ პირობების და არა სახელმწიფოს ძლიერ მმართველობის შექმნა'მი.

აქედან თავის თავად ცხადია შემდეგი: თუ პროლეტარიატის კულტურული განვითარება უზრუნველყოფილი იქნა დღეანდელს ბურჟუაზიის ხანაში, პროლეტარიატი ამით სრულებით კმაყოფილდება და სახელმწიფოს მმართველობის შექმნა მას არა სურს.

მომხსენებელის აზრით ასეთი სურვილი მხოლოდ ბურჟუაზიას ეკუთვნის.

სინამდვილე ამ გვარ შეხედულებას არა თუ არ ადასტურებს, ძირიან—ფესვიანათ უარჰყოფს. მაგალითისათვის ბევრი ძებნა არ დაგვჭირდება:

ფინეთის სოციალ-დემოკრატია ფინეთის სრულ დამოუკიდებლობას მოითხოვს.

ფინეთსა აქვს ეროვნულ-ტერიტორიალური ავტონომია. რაკი რუსეთში დემოკრატიული რესპუბლიკა დამყარდება, ფინეთის ავტონომიას აღარავითარი საფრთხე აღარ მოელის; მაშასადამე ფინეთის პროლეტარიატის კულტურული განვითარება უზრუნველყოფილი იქნება.

მაშასადამე ფინეთის პროლეტარიატი უნდა დაკმაყოფილდეს და სახელმწიფოს ძლიერი მმართველობის შექმნა არ უნდა წამოაყენოს, რადგანაც ეს ბურჟუაზიის ლოზუნგია.

ნამდვილათ-კი ფინეთის სოციალდემოკრატების ლიდერი ტოკოი ისე არა მჯელობს, როგორც ნოე, და აცხადებს: თავისუფალი ერი დამოუკიდებელი ერია, ფინეთს სრული დამოუკიდებლობა უნდა მიენიჭოსო.

ნოე გვიმტკიცებს: ეროვნული საკითხი მარტო კულტურის საკითხიაო.

ტოკოი-კი აცხადებს: ეროვნული საკითხი ერის დამოუკიდებლობის, ერის სახელმწიფოებრივათ მოწყობის საკითხიაო.

ნოე გვიმტკიცებს: პროლეტარიატს მხოლოდ ის უნდა, რომ მისი კულტურული განვითარება უზრუნველყოფილი იყოს და სახელმწიფოებრივი მმართველობის შექმნა მისთვის საჭირო და სასურველი არ არისო.

ტოკოი-კი აცხადებს: ფინეთის პროლეტარიატს და სოციალდემოკრატიას ის უნდა, რომ ფინეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოს შეადგენდესო.

ქართველი სოციალდემოკრატია ამტკიცებს: საქართველოს ეროვნული თვითმართველობა რაც შეიძლება შეკვეცილი, ხელფეხ შებორკილი დამონებული უნდა იყოს, რომ სახელმწიფოებრივობის ნიშანწყალიც არ იყოს შიგ. ის მუდამ თვალებში უნდა მისჩერებოდეს უმაღლეს მთავრობას და იმის ბრძანებას ასრულებდესო.

ფინეთის სოციალდემოკრატია კი ამტკიცებს: ჩვენ არა თუ შეკვეცილი ეროვნული თვითმართველობა არ გვაკმაყოფილებს არც სრული ეროვნული თვითმართველობა სახელმწიფოებრივის მმართველობით,—ჩვენთვის საჭიროა სრული დამოუკიდებლობა; ფინეთი ავტონომიას კი არ უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოს ფუნქციებით, არამედ დამოუკიდებელ სახელმწიფოსო.

აქედან შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი: ის აზრი, თითქოს ეროვნული საკითხი კულტურის საკითხი იყოს მხოლოდ, სრულებით უსაფუძვლოა.

ის აზრი, თითქოს პროლეტარიატი არ იყოს დაინტერესებული სახელმწიფოს ძლიერ მმართველობის შექმნაში, სიმართლეს მოკლებულია,

მუშათა და გლეხთა დადგენილებაში ის აზრია გატარებული, რომ ეროვნული თვითმართველობა კულტურულ-ეკონომიურ სფეროში სრულიად დამოუკიდებლად მოქმედობს, მაგრამ თავისი სახელმწიფოებრივი უფლებით კი არა, არამედ სახელმწიფოს დავალებით.

უბრალოთ რომ ვთქვათ აი ეს რას ნიშნავს:

სახელმწიფო ე. ი. რუსეთი მისცემს ეროვნულ თვითმართველობას კანონებს და ეს თვითმართველობა ამ კანონების მიხედვით მოაწყობს თავის კულტურულ-ეკონომიურ ცხოვრებას.

რისი თქმა უნდა ამით დადგენილების ავტორს?

იმისი, რომ სრული სახელმწიფოებრივი უფლება ცენტრს უნდა ეპყრას ხელთ, ეროვნული თვითმართველობა კი მისი ბრძანების მიხედვით უნდა აწყობდეს თავის კულტურულ-ეკონომიურ ცხოვრებას.

სახელმწიფოს მცნებაში მარტო კანონმდებლობითი უფლება-კი არ შედის, არამედ აღმასრულებელი უფლებაც. სახელმწიფო ადგენს და ეს დადგენილება სისრულეში მოჰყავს. უფლება და ძალა ერთი მეორისაგან განუყოფელია.

ეროვნულ თვითმართველობას არა აქვს საკანონმდებლო უფლება, მაგრამ მასა აქვს აღმასრულებელი უფლება. მან სისრულეში უნდა მოიყვანოს, მან შესაფერი ორგანოების წყალობით უნდა განახორციელოს ის, რისი უფლებაც სახელმწიფოსაგან ეძნება მოცემული. ასეთია აზრი დადგენილებისა.

აი თვით ეს განხორციელების უფლება, თვით ეს აღმასრულებელი ორგანოები უკვე ატარებენ თავის არსებაში ნაწილს სახელმწიფოებრივობისას.

ამიტომ, თუ არ გინდათ სახელმწიფოებრიობა, უნდა უარჰყოთ ეროვნული თვითმართველობაც.

ხოლო თუ ღებულობთ ეროვნულ თვითმართველობას, სახელმწიფოებრივობის ნაწილს—თუნდა სულ მცირესაც ვერავითარის საშუალებით ვერ ამოშლით შიგ.

ეს კი გამოვა ეროვნულ ტერიტორიალური ავტონომია.

ამ ავტონომიას დიდი უფლებანი ეძნება თუ მცირე, ის მაინც ავტონომია იქნება და მაინც.

ამ გვარათ მუშათა და გლეხთა დელეგატებმა უეჭველათ მიიღეს ავტონომია.

თუმცა, „როგორც“ ალიონში„ არნიშნავ ნ. საქართველი, უფლებები ამგვარი თვითმართველობისა მეტათ შეკვეცილი და შეზღუდულია, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ეს ნაბიჯი მუშებისა და გლეხთა დელეგატებისა დიდ ისტორიულ ნაბიჯათ უნდა ჩაითვალოს.

თუმცა ამ ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას ისეთი მუხრუჭები შემოუჭირეს და ისე დაამახინჯეს, რომ მისი გამოცნობა ადვილი არ არის და ბევრი ხვრელია აქ დატოვებული თავის დასამალავათ, მაგრამ მიუხედავათ ამისა ჩინეთის კედელი მაინც დანგრეულია; რაკი ერთხელ შევიდა თვითმართველობის საკითხში ეროვნულ-ტერიტორიალური პრინციპი, ის უთუოთ გაიკაფავს გზას და მივა თავის ლოგიკურ დასკვნამდე:

ქართველი სოციალდემოკრატია აღიარებს საქართველოს სრულ ეროვნულ-ტერიტორიალურ ავტონომიას.

ეს დამარცხება კი არ იქნება და სათაკილო, როგორც ზოგიერთ სოციალდემოკრატსა ჰგონია, არამედ დიდი გამარჯვება და დიდი სახელი. **ივ. გომართელი.**

გემსხვერპლები

ვერ გამტეხს სევდა ნაღველი,
ჭირის მარად ვარ ჩვეული;
კვნესა ვაებით სავსეა
ჩემი ცხოვრების რვეული.
ცრემლებში ვლესავ ჩემს გრძნობას,
გულში ცეცხლს ვანთებ გზნებითა
და ქედს არ ვუხრი წყეულ ბედს
არც შიშით, არცა ნებითა.. —
დაე, დამენგრეს უდროოთ
მე სამლოცველო ტაძარი,
დაე, მომესპოს შენს გულში
სულისა თავშესაფარი;
დაე, მტრად მექცე, ჩემს სახელს
იხსენიებდე ზიზღითა,
მწყევლიდე მუდამ უბედოს,
მავსებდე სნება-ჭირითა;
დე ხელში ბასრის ცელითა
კვალ და კვალ მდევდეს სიკვდილი
და ჩემის ტანჯვით სახეზე
ნათელსა გფენდეს სიცილი;
დაე მე შენის სურვილით
სისხლათა მექცეს სახელი
და გულში შენის ხელითა
მეწვეთებოდეს ნაღველი;
დე აღმიკრძალონ,—ვერას დროს
ვერ გავხდე შენი მნახველი;
მაინც დარჩება ჩემს გულში
შენი სახე და სახელი;
მაინც ვიფიქრებ მე შენზე
და მეყვარები გულითა;
შენს სასიცოცხლოთ სიცოცხლეს
გავსწირავ სიხარულითა.

გ. ლადოშვილი.

„თეატრი სანატრი“ და „თეატრნი მლელვარნი“

პოეტ ნიკოლოზ ბარათაშვილისა *)

I.

„ყოფნა არ ყოფნა—აი საკითხი
საბედისწერო და საეალალო.

გ ა ნ დ ე გ ი ლ ი.

პოეტის თვალ ცრემლიანობა.

ნიკოლოზ ბარათაშვილის კახსენებაზე ეოველ განათლებულ ქართველს თვალწინ დაესახება პოეტის ნაღვლიანი ახრდილი, რომელნი ბუნებ შუბლსაც მწარე ფიქრების, მოუსვენდველი ეზრეოვნების და ღრმა სევდის ბეჭედი ახია. ამავე დროს იგი გაიგონებს ხანგრძლივის ნაღვლიანს ჭანკს, რომელზედაც მგოსანი დაჭვნესის:

„ჰოი ჩანგურო ნეტავი ოდეს
ხმა მხიარული შენგან მსმენოდეს,
რომ უკუმყოდეს მე სევდიანსა გულისა სენი!
მაგრამ სად ვნახო შენი ლიმილი,
სიხარულითა გამოჩენილი?
მე შენგან მესმის მოკლული გულის
ოდენ ჩივილი!“

ჭაბუკ პოეტს, დაჯილდოვებულს კაშკრიანი ჭკუით და ღრმა ეეფიკვდა კრძნობით; მგოსანს, რომელსაც შინაგანი ხმა იწვევს უკეთესი ხვედრისაკენ, რამ მოუკლა კული, რამ მოუშხამა სიცოცხლე, რათ ემოსა „თვალი ცრემლით გული სევდის საცმლითა“?

*) ეს მოხსენება წაკითხული იყო თელავის წერაკითხ. განყოფ. საისტორიო და სალიტერატურო სექციაში იანვრის 24-ს 1916 წ.

ვბეჭდავთ ამ საყურადღებო, ღიხასიათებას, თუმცა ზოგიერთ დასკვნაში არ ვეთანხმები. რედ.

ბევრნი სწერენ ბარათაშვილზე, ნამეტნავათ ამ უკანასკნელ წლებში, და უმრავლესობას ბარათაშვილის ურვის ერთად ერთ წყაროდ ნაიხნია მისი დროის ცხოვრების პირობები—პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიური. ამ თვალსაზრისის უკეთეს გამოშხატვედად, ჩემის ფიქრით, ბ. ხომლელი უნდა ჩაითვალოს. მან დასტამბა 1897 წ. ეურნალ „კვალში“ წერილები ამ სათაურით „ბარათაშვილი და მისი დრო“, სადაც, სხვათა შორის, სწერს: „ბარათაშვილი ამ საუკუნის პირველ ნახევარში თითქმის ერთად ერთია, რომელმაც გამოსთქვა თვის შესანიშნავ ლექსებში თანამედროვე დიდი ეპოქის ცოცხალი მოტივები. თქვენ წინ სდგას დიდებული ეეერიელი, რომელიც სამოქალაქო კრძნობებზედ არის გადამკვდარი.“ რაში მდგომარეობენ, ხომლელის ფიქრით, ეს სამოქალაქო კრძნობანი? აი რაში. „ამ უკანასკნელ დროში უკეთესთა მოაზრეთა მეოხებით დამტკიცდა, რომ ადამიანი იტანჯება იმიტომ, რომ მოკლებულია ცხოვრების რიგიან პირობებს. ჩვენი უბედურების მიზეზი გარემორტემულ ცხოვრების სოციალურ პირობებში უნდა ეეძებოთ. ჩვენი აზრნი და მოთხოვნილებანი პირწმინდათ შეეფერებიან ცხოვრების საზოგადო მატერიალურ მხარეს და მით საზღვარ გადადმა ეკვეთება თრთები ჩვენს ადმატებულ სურვილებს და იდეებს.“

ხომლელის ფიქრით, პოეტის კრედო ის იეო, რომ „ოადგანც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა უნდა კიდეკამინდიოთ მას გესმასმშობლისა“.

ადამიანი, როგორ ასცდება ცხოვრების ნიეთიერ მხარეს, ეკონომიურს, სოციალურ და პოლიტიკურს? მაგრამ აქედან განა შეიძლება იმ დასკვნაზე მივიდეთ, რომ იგი სრულებით წარმოსცადიერდებოდეს მატერიალისტური მოთხოვნილებებით, და რომ ეოველ მის სულის წეურვილს, გულის ნადებს პირწმინდათ დაკმაყოფილებდეს ნიეთიერი პირობები?

მე მგონია, რომ ბარათაშვილი სრული წინააღმეკი იეო იმისი, რაც ხომლელს მიაჩნია. ჩემის ფიქრით, მას ჭქონდა ისეთი მოთხოვნილებანი, რომელთაც ვერ დაკმაყოფილებდა პირწმიდათ ცხოვრების მატერიალური მხარე. იგი წმინდა წყლის მატერიალისტი კი არ იეო, არამედ მისტიკი—მეტაფიზიკი.

ჩემი განზრახვაა „გაგაცნოთ ბარათაშვილი როგორც მეტაფიზიკი.

მ. დიმ. დეკანოზიშვილი.

(გაგრძელება იქნება).

მოჰკვდა!.. მოჰკვდა!..

მოჰკვდა! მოჰკვდა! ნუ თუ მოჰკვდა, ნუ თუ მართლა მოკვდა მტერი
და წყვდიადის ზღუდეებზე აშადრევნდა სხივთა ჩქერ!?
მოჰკვდა. მოჰკვდა იგი... მოჰკვდა ბორკილხუნდთა მჭედი,
საუკუნოთ მიეფარა ჯოჯოხეთის შემოქმედი...
ზარი.. ზარი... ჩამორეკეთ, ჩამორეკეთ ჩქარა ზარი..
საფლავს მალე მივაბაროთ შავ დღეების ღრტუ სიზმარი...

დ. თურდოსპირელი.

დ.ბა ზალოუცკი (ვალიცია)

გაცივდა სული, გაჰქრა ტურფა შემოქმედი

მწვანე კორდზე, გრუზა ხის ქვეშე გულგაღეღილი პირმცინარობდა.

თვალწარტყვეენილი ლაღი ჭაბუკი თავდავიწყებით ხარბად სტკბებოდა.

ბუნების კალთა, გარშემო არე, ისე იყო ჭაბუკისთვის მოკაზმული, გადაქარგული, ისე ცეკვავდა, კისკასობდა ყოველი არსი, თითქო ქალწული, მეფის ასული, მსუბუქ სამოსში სამაისო ზეიმს იხდიდა. თითქო ქალწული საყვარლის ბაგეს ჰაეროვან კოცნას უძღვნიდა.

ლაღი ჭაბუკის ფიქრი და ზრახვა ვნებაღელვანი ლამაზი ქვეყნის ჭვრეტას გაექრო, გონების თვალსა ცის დასავლამდე ათასფერადი ხალი დაეგო, მოციმციმე ყვავილებით გადანაფეთქი და... მდინარებდა სიცოცხლის ჩქეფი სიცოცხლის ზღვაში.

მწვანე კორდზე გრუზა ხის ქვეშე იდგა ჭაბუკი პირმომცინარი და თაიგულათ შეკრული არე ტკბობის ღიმილით ბაგეს უხლეჩდა.

— ოქროსფერ არხში ვერცხლის მავთულად იკლაკნებოდა წყარო ანკარა.

ცანგალა სიოთი ბიბინებდა მდელო ნარნარა და მდინარებდა ია—ვარდების რხევაციმციმთან შეხამებული.

მწვანე ხეების, მწვანე სამოსი ფარჩის შრიალით იშმუშვნებოდა და ისმოდა მზის შუქში ჩამდგარ უდაბურ ტყიდან სტვენა-გალობის ნაწყვეტი ხმები.

და ეს სურათი ისე ატკბობდა საამოთ მტოკავ ჭაბუკისა გულს, როგორც მზის სხივი ნაზნაზა იას უტკბობს სიცოცხლს უძვირფასესწუთს . . . .

. . . . . .

და დაჰქროლა: გულის სიღრმიდან შავ ფიქრთა ქარმა გაიშხუილა, ველური ვნებისმძაფრმა გრიგალმაგადაირბინა და გაყვითლდა, აიფერფლა მშვენი მიდამო.

ისევ კორდზე დგას, გრუზა ხის ქვეშე გულ-შენაღონი მწირი ჭაბუკი და გასცქერის ჭმუნვის მომბერავს, ჭმუნვის მიდამოს.

ოქროსფერ არხში წყარო ანკარა აღარ წანწკარებს, მდელოს გულზე ცანგალა სიო აღარ დაცელქობს.

ფერ მახდილა ია და ვარდი, როდი ციმციმებს ხეთა სამოსი. ფარჩა ფრიალა ხმა გაკმედილა და ულრან ტყეშიც, მალხაზა ჩიტებს სტვენა-გალობა შეუწყვეტნია.

გ. დათიაშვილი.

რა ვიცი მე ჭოლა ლომთათიძის შესახებ

ჩემს პატარა ბიბლიოთეკაში მე ვისმენდი ზღაპრებს. ყველაფერზე უფრო მე ზღაპრები მიტაცებდა, ზღაპრები მიზიდავდა, ყველაზე უკეთესი გასართობი ჩემთვის ზღაპრები იყვნენ. ზღაპარი ჩემთვის უმთავრესსა და უკეთესს სულიერ საზრდოს შეადგენდა. ხალხური შემოქმედებიდგან ვისმენდი სხვა და სხვა ნაწილებს, როგორიცაა, მაგალითად: ლექსები, ანდაზები, გამოცანები და ლოცვები. მაგრამ, საშუხაროდ, მე მესმოდა ასეთი მდარე ღირსების ლექსებიც, რომლებიც ვერ იზიდავდენ ჩემს ჩჩვილსა და მგრძნობიარე გულს, რადგან მათი უმეტესობა საარშიყო და პირად საგინებელი შაირები იყო. გამონაკლს

შეადგენდა ანდაზები, რომლების ბრძნული, ლრმა, მარტივი, მოკლე შინაარსი ძლიერ ჰხიბლავდა ჩემს გულს. დიდს აღტაცებაში მოვყავდი, აგრეთვე, გამოცანებსაც თავისი მომხიბლველი საიდუმლო შინაარსით. ვისმენდი (უმეტესად დედისაგან) სამკურნალო ლოცვებსაც, რომელთა შინაარსი ჩემთვის გაუგებარი იყო პაწიოობაში, მაგრამ მაინც მომწონდა ფანატიკობის ძალიც, მით უფრო, რომ იმითი (ლოცვებით) დედაჩემი სხვა და სხვა სენსა და ავადმყოფობას ემუქრებოდა, ებრძოდა და ავადმყოფებსაც შელოცვის შემდეგ უმეტესად გულზე ოხი მიეცემოდათ, ხოლმე (ფანიტიზმის და ტრადიციის ძალით, რასაკვირველია)...

დიალ, მესმოდა ყველა ესენი, მაგრამ მომეტებულად—ზღაპრები. და მე მხიბლავდა მომქმედნი პირნი თავიანთი საკვირველი სახეებით, შეძლებითა და შეუდრეკელი ხასიათით, საოცრის სამოქმედო ასპარეზითა, საარაკო ენერგიითა და ბრძოლის წყურვილით. ჩემი სიმპატია ყოველთვის იმ მომქმედ პირთა მხარეზე იყო, რომლებიც თავიანთის მოქმედებით ხალხს, დაბალ ხალხს, გაჭირვებაში მყოფ ხალხს ეპირისუფლებოდენ, ესარჩლებოდენ, მფარველობდენ, და ხშირად მათთვის სიცოცხლესაც სწირავდენ.

ახ, როგორ აღმიტაცებდა ხოლმე ამბები, ცხრა თავიანი მდევის მოკვლის შესახებ! როგორ გამახარებდა ამბები, საცა ვაჟკაცი კლავს იმ საშიშარ გველეშაპს, რომელიც წყალს ართმევდა მთელ სამეფოს და ადამიანის შვილებსაც კი სჭამდა!.. ამირანი და მსგავსნი სხვანი ხომ რა!..

იმ ხანებში მე ზღაპრები რეალური, ნამდვილად არსებული ფაქტები მეგონა. მაგრამ იმ ჟამად რომ მსგავსი არაფერი ხდებოდა, ეს მაკვირვებდა. მე ხშირად ვოცნებობდი, როცა გავიზრდები, მეც ისეთი ვაჟკაცი უნდა გამოვიდე მეთქი, როგორც ზღაპრებში ვხედავდი. მე სხვაფერად თავი არ მინდოდა. მე ვფიქრობდი, რომ მსგავსი ამბები დღეს დღეობით თუ არა, შემდეგში მაინც მოხდება, რომლის მოწამე მე ვიქნები და, რომელშიაც შესანიშნავს როლს შევასრულებ-მეთქი, ისეთს როლს, რომელშიაც იგულისხმებოდა გაჭირვებული ხალხის არჩილი და სამსახური.

და ველოდი ამ სდღეს ამ დროს... მწყურვალებით ველოდი...

. . . . . .

დრო გავიდა... ჯერ ისევ ჰატარა ვარ... მესმის ამბები ყაჩაღების შესახებ. ეს ამბებიც ზღაპრებზე არა ნაკლებ მიტაცებდა მე. ვიცნობ იმათ სახელსაც, რომელთა გაგონება ძლიერ მესიამოვნებოდა, ესენი არიან: ტარიელ დათუნაშვილი, სისონა დარჩია, ნიკ. მეხუზლა, ამაღლობელი და სხვ.. მახსოვს, ერთხელ მამა ჩემმა, ჩემს გვერდით ყანაში მომუშავემ, ინატრა ყაჩაღების ბედი, და სხვათა შორის სთქვა: „ჭკვიანი ყაძახი აი ის ყოფილა (მან რომელიღაც ყაჩაღის გვარი დაასახელა), რომ იმუშავა, იმუშავა ყანა და, რომ მაინც ვერას გახდა, ერთს დღეს მოშორდა ყანის ნაპირს, მიიტანა თოხი ქვაზე, სცემა პირით, სცემა, სცემა და ნამტვრევებად რომ გახადა, აიღო თოფი და ტყვია-წამალი, შეირტყა ხანჯალი და გავიდა ყაჩაღად!“ ამით დაინტერესებული შევეკითხე მამას:

— ბაბა! ყაჩაღი ვისაც შეხვდება ყველას მოჰკლავს?

— არა შვილო! კაცს ის ძალიან უფრთხილდება... მოჰკლავს, თუ რიმე მისთვის ავი შენიშნა ვინმეს.

— აქანე რომ გამეიაროს საღმედგან, არაფერს გვეტყვის?

— გამარჯობას გვეტყვის თუ ჰშია საჭმელს მოგვთხოვს, ჯიბეზე თუ ფული აქ, ქე მოგვცემს, თვარა-და არაფერი! წავა.

—აი, ღმერთო! მათრლაც გამოიარდეს საშეიდგან და საჭმელს მთხოვდეს, ერთ კვირეს დავთმენ და მას შევინახავ!.. ერთ ახალ თოხს ვიყიდდი,—კლავები დამაყრევია უპირო თოხმა! მიპასუხა...

მათდამი გაიზარდა ჩემი სიმპატია, მათ მტერთადმი—ანტიპატია .. მამამ შემატყო მე ეს და სხვა და სხვა ამბები მითხრა მათი ცხოვრებიდამ...

უთხრა: **ცალფეს გ. ლომთათიძე**

(გაგრელება ქნება)

სულით ობოლნი

ხუთ მოქმედებიანი დრამა ჰერარტ ჰაუპტმანისა, თარგმანი ივ. გომელაურისა.

ეძღვნის მათ, რომელთაც სულით ობლობა გამოუცდიათ.

მომქმედნი:

ბ. ფოკერატი
მართა, — ფოკერატის ცოლი.
იოჰანეს, — ამათი შვილი.
კეტე, — იოჰანესის ცოლი.
ბრაუნი, — იოჰანესის მეგობარი.
ანნა მაარი, — ახალგაზდა ქალი, ფოკერატის სტუმარი.
ძიძა.
მრეცხავი ქალი, — ქალბატონი დემანისა.
კოლლინი.

მოქმედება სწარმოებს აგარაკზე ფრიდრიგსაამში, ბერლინის მახლობლად. აგარაკის ბაღი დააწყდება სწორეთ მიუგგელის ტბასთან.

მთელი ხუთი მოქმედების განმავლობაში სცენა უცვლელად რჩება. სასტუმროცა და სასადილო ოთახიც ბურჟუის გემოვნებაზე არის მოწყობილი. კედელთან სდგას პიანინო და წიგნების შკაფი. შკაფის მახლობლად კედელზე ჰკიდია ფოტოგრაფიული და სხვა სურათები თანამედროვე მეცნიერებისა და ღვთის მეტყველებისა, მათ შორის დარვინისა და ჰეკელისაც. პიანინოს მაღლა ფერადი წამლებით დახატული შემოსილი პასტორის სურათია. გარდა ამისა კედელზე ჰკიდია კიდევ რამდენიმე სურათი საღმრთო წერილიდან და შნორისა და ფონ კაროლ სფელდტის სურათებიდან გადმოღებული ნახატები.

მარცხნივ ერთი კარია, ხოლო მარჯვნივ — ორი. მარცხენა კარები გადის იოჰანე ფოკერატის კაბინეტში მარჯვენა კარებთაგან — ერთი გადის საწოლ ოთახში, მეორე კი გარეთ აივანზე. ოთახი საკმაოდ მოზდილია უკანა კედელსა აქვს ორი ფანჯარა და მინებ ჩახსმული კარები. კარფანჯრებიდან მოსჩანს შუშაბანდი, ბაღი, ტბა და ირისი იქით მთები.)

მოქმედება. სწარმოებს ზაფხულს დროს.

მოქმედება პირველი.

(ოთახი ცარიელია. მოღებულ კარებიდან გაურკვეველად ისმის პასტორის ქადაგება. პასტორის გაჩუმების რამდენიმე წამის შემდეგ მოისმის ხორალი *) ამ დროს გაიღება კარები და სცენაზე გამოჩნდებიან: ფრაუ ფოკერატი, ფრაუ კეტე ფოკერატი და ძიძა ბავშვითურთ, ბავშვი კრუჟევებით

*) ხორალი — ლუთერის ეკლესიაში ყველა მლოცველთა ორგანოსთან ერთად გალობა.

ჰერჰარტ ჰაუპტმანი.

ჰ. ჰაუპტმანი, ნემენცების დიდებული დრამატურგი, დაიბადა 1862 წ. პირველ ხანებში მისი თხზულებანი საზოგადოების დიდ ყურადღებას არ იქცევდენ, მაგრამ მერე, როცა რომანტიზმი უარყო და ნატურალიზმისაკენ იბრუნა პირი, უცბად აალაპარაკა მთელი გერმანია. მომეტებულად კი „მშვენიერების დღესასწაულის“ შემდეგ, როდესაც ჰაუპტმანი შეგნებულად ნატურალიზმის გზაზე გამოვიდა და შეეცადა ახალი, ჯერ უცნობი, სადრამო სტილის შემუშავებას. მწერალი საბოლოოდ ცნობილი შეიქმნა და სერიოზულ კრიტიკის მიერ მისი უეჭვო დიდი ტალანტი აღიარებულ იქმნა მხოლოდ პოეტის ორი პიესის გამოქვეყნების შემდეგ. ეს პიესები იყო: დრამა „სულით ობოლნი“ და კომედია „ჩვენი ამხანაგი კრამპტონი“ დრამატიული პოემის „ფეიქრების“ დაბეჭდის შემდეგ კი თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა მსოფლიო მწერალთა შორის.

ჰ. ჰაუპტმანი უცხო არ არის ქართველი მკითხველებისათვის. ბევრი მისი თხზულება უკვე გადმოთარგმნილია ქართულად, მაგ. „ფეიქრები“, „დაძირული ზარი“, „მიხეილ კრამერი“ და სხ..

ეხლა ჩვენს ჟურნალში იბეჭდება ერთი საუკეთესო მისი დრამა „სულით ობოლნი“. რედ.

მორთულ ბალიშზე არის დასვენებული. ყველანი სადღესასწაულოდ არიან მორთულები).

ფრაუ ფოკერატი. (ორმოცდაათი წლის დედაკაცია. შავი ბრეშუმის კაბა აცვია. დახუჭუჭებული თმა შუაზედ აქვს გაყოფილი. იგი ხელს აგდებს კეტეს ხელზე და ადგრსიანათ უსვამს) მშვენივრად ლაპარაკობდა!! არა, კეტხენ?

ფრაუ კეტე (ოცდა ერთის წლისაა. შუა ტანისა, სუსტი აგებულობისა, ფერმკრთალი. შავი თმა აქვს. ძალიან წუნარია, ახლად მორნენილია, ძალდატანებით იდიმებს; უგულოდ აქნევს თავს და თან ბავშვს უყურებს).

ძიძა. კარგო, კარგო პაწაწკინავ!.. (აქანებს ხელში) იძინებს. სუ .. სუ!.. ყურადღებასაც რო არვის აქცევს? ვერ უყურებთ! (უხსნის დენტს, რომელიც უშაწვიდს აწუხებს) აი ახლა. მ... მ... დაიძინე ნანინა (ბირმოკუმული ნანას ამბობს) ბატონ პასტორს კი ძალიან საქმე გაუპირე (ტირის, აჯავრებს) ვა.. ვა..! წყალი არ მოგეწონა? ვა... ვა... არ გესიამოვნა განა?! (დამდურის) საყვარელო მამილო, გთხოვ რო მე არ გამწკეპლო... ვა.. ვა.. კარგა ილრიალე, ღმერთმა შეგარგოს ნანი ნანა, ნანინა. (მდურის და თან ფეხს აჯოდებს)

ფრ. კეტ (იცინის გულიანად. ხმაზე ნერვებ აშლიდობა ეტუობა).

ფრ. ფოკ. შეხედე ერთი, კეტე, რა საუცხოვო გრძელი წამწამები აქვს.

ძიძა დედის წამწამები აქვს, დიახ, ნანი. ნა.. ასე გონია არშია მოუვლებიათო.

ფრ. ფოკ. კეტე, ეს ბავშვი მართლა რო სულ შენა გგავს.

ფრ. კეტ (დადონებული გაჩერებულ თავს უთანხმოების ნიშნად).

ფრ. ფოკ. გაწყენებ...

ფრ. კეტ. (უგულოდ) ახ დედილო! მე ეგ სრულებით არ მინდა. ეგ ბავშვი მე არ უნდა მგვანდეს. ეგ... (ლაპარაკის გაგრძელებას ველარ ახერხებს).

ფრ. ფოკ (ცდილობს სხვა საკანზე ნამოუგდოს ლაპარაკი) ჯანსაღი ბავშვია.

ძიძა დიახ. ძალიან ყოჩაღია.

ფრ. ფოკ კეტე, ერთი შეხედე რა მუშტები აქვს.

ძიძა. მართლა რო გოლიათს მიუგავს მუშტები,

ფრ. კეტ (ბავშვს ჭკოტნის).

ფრ. ფოკ. შეხედე ერთი რამ სიგანე მკერდი აქვს.

ძიძა სწორედ ღერანლის გულ-მკერდი აქვს, ქალბატონო.. შ..შ.. თავისი ლონიერი მკლავით ვის არ მოუგრეხს კისერს.

ფრ. ფოკ. გესმის, კეტე. (ისიცა და ფრაუ კეტეც იცინიან)

ძიძა. ბავშვს საღი სისხლი უდგა შ..შ.. ყმაწვილები მხოლოდ სისხლითა ცოცხლობენ შ.. შ.. (მდურის) ა.. ა.. ა.. ჩვენ წავალთ, წავალთ ნანი-ნა. ნანანა შ.შ... დაიძინე პაწაწკინავ, დაიძინე მშვენიერო ნა-ნი-ნა.. (გადის საწოდ ოთახში).

ფრ. ფოკ. (საწოდი ოთახის კარებსა ხურავს, ბრუნდება სიცილით და თავის ქნევით) ახირებული რამაა! მაინც ძალიან კარგი დედაკაცია. მე საშინლად მოხარული ვარ, კეტხენ, რომ პირველადვე ასეთი კარგი ძიძა შეგხვდა

ფრ. კეტ. ღერენალიო. ღმერთო ჩემო! (იცინის. ამ დროს კანკალი მოსდის, თრთის, რის გამო იმისი სიცილი ტირილს უფრო წააგავს)

ფრ. ფოკ. (შეშინებული) რა დაგემართა?

ფრ. კეტ. (თავს იმაგრებს).

ფრ. ფოკ (ეხვევა კეტეს). კეტხენ!

ფრ. კეტ. არაფერია, არა მიშავს რა.

ფრ. ფოკ. როგორ თუ არაფერია. ძალიანაც ფერია! არც საკვირველია. როგორც წესია ჯერ ისე მოარჩენილი ვერა ხარ. მიწექ პატარა ხანს, მოისვენე.

ფრ. კეტ. ეხლა უკეთა ვარ, დედი!

ფრ ფოკ. გენაცვალე, მიწექ ერთ წამს!

ფრ. კეტ. არ მინდა.—შენი ჭირიმე თავი დამანებე. გარდა ამისა, მალე სადილობის დროა.

ფრ. ფოკ. (სდგას მაგიდასთან, რაზეც აწყვია დგინოები და შაქარდამები. ჭიქაზედ ასხამს დგინოს და აწვდის კეტეს) აბა ერთი ჩაუდაბე). ნახე ტკბილი დგინოა.

ფრ. კეტ. (სვამს).

ფრ. ფოკ. ღვინო ამაგრებს ადამიანს, არა? ჩემო ძვირფასო და საყვარელო. შვილო! აბა ამას რაებს შვრები? შენ უნდა თავს გაუფთხილდე და მაშინ ყველაფერი კარგათ იქნება. მართლა და ეს რასა ჰგავს. შენ

ნურაფერზე ნუ დარდობ: ეგ სულ მეტია. ყველა თავის რიგზე მოვა. ეხლა ბავშვი გყავთ და თქვენი ცხოვრებაც სხვა გზით წავა. იოჰანესი დამშვიდდება...

ფრ. კეტ. ახ, ნეტავი ერთი ის კი დაწყნარდეს...

ფრ. ფოკ. წარმოიდგინე, როგორ გაუხარდა, როდესაც ბიჭუნა დაიბადა, შენ ხომ იცი, რომ ის მეტის მეტად აღმერთებს ბავშვებს. დამერწმუნე ეს ყოველთვის ასეა. ცოლქმრობა უშვილოდ—შუაგზაზე გაჩერება, ნეტა იცოდე როგორ ვევედრებოდი უფალ ღმერთს, რომ ჩემთვის ერთი ბალღი მოეცა. აი ჩემი და ჩემი ქმრის საქმე როგორ იყო: ოთხ წელიწადს შვილი არ გვეყოლა, საცოდავი ცხოვრება გვქონდა. ბოლს ღმერთმა შეისმინა ჩვენი ვედრება და იოჰანესი შეგვეძინა. მხოლოდ ამის შემდეგ დავიწყეთ ჭეშმარიტი ცოლქმური ცხოვრება, ჩემო კეტხენ. ადროე ერთი ორი სამი თვე დააცალე და გაგიჟებით შეგიყვარდებათ ბავში, არა, არა, შენ კმაყოფილი უნდა იყო: ეხლა შვილი გყავს, ქმარი გყავს, რომელსაც უყვარხარ. თქვენ შეგიძლიათ სრულიად უდარდელად იცხოვროთ. რაღა გაკლიათ?

ფრ. კეტ. იქნება ამის თქმა ჩემის მხრივ სისულელეა. მე თვითონ ვხედავ რო სისულელეა: ხშირად სრულიად უმიზეზოთ ვწუხვარ და ვიტანჯები.

ფრ. ფოკ. აბა კიდეც ეგ არის!.. ნუ კი გეწყინება რასაც მე გეტყვი. შენ უფრო დამშვიდდებოდი, რომ... ხომ იცი რა? როდესაც ძალიან შემაწუხებს ხოლმე რამე დარდი, კარგად ვილოცავ ხოლმე სულითა და გულით, ყველაფერში გამოვუტყდები ჩვენ ზეციერ მამას... და მაშინ სრულიად მომეშვება ხოლმე გულზე! არა. არა! სწაკლულებმა რაც უნდათ ის ილაპარაკონ, და ღმერთი მაინც არის, იგი არსებობს კეტხენ! იქ, ცაში არის მოწყალე მამა; მერწმუნე, რომ ეს ასეა. ცუდია თუ მამაკაცს არა სწამს ღმერთი, მაგრამ ურწმუნო დედაკაცი.... ნუ კი გეწყინება, კეტხენ... მაგრამ კმარა, კმარა... ამაზედ ნუღარ ვილაპარაკებთ. მე ბევრს ვლოცულობ, ყოველდღე ვევედრები ღმერთს! დარწმუნებული ვარ, რომ ჩემს მუდარას ყურადღებას აქცევს თქვენ ორივენი კარგები ხართ, და ღმერთი თქვენც ჭეშმარიტ სარწმუნოებაზე დაგაყენებთ. (ჩუმად. ხარხლო გათავდა) ოხ, რა უბედად გადავიქეცი!..

ფრ. კეტ. ნეტა მალე მაინც მოვრჩე დედი, მცხვენიან რომ ყველაფერზე მარტო შენა ზრუნავ, ყველაფერს მარტო შენ აკეთებ.

ფრ. ფოკ. (კარებიდან) აბა ეგ რა საათქმელია. აქ, თქვენთან მე ვისვენებ. პატარა ხანს კიდევ მოიცადე, კარგათ გახდები და მაშინ კიდევ შენ მომესამსახურები.

ფრ. კეტ. (უნდა სწოლ ოთახში გავიდეს, ამ დროს გამოდის ბრაუნი იმ ოთახიდან, სადაც ბავშვი მოანათლეს. ბრაუნი იცდა ექვსი წლისაა, ფერმკრთალი და დასუსტებული. თვალები ჩაცვივნული აქვს. თმა წმინდათ აქვს მოკრეჭილი და ახალ მოდურათ არის ჩაცმული. ძალზე გახუნებული ტანისამოსი აცვია. ბრუნი დადგრეგმიდია, თითქმის მუდამ უკმაყოფილო და ამის გამო ცუდ გუნებაზე.)

ბრაუნი ესეც ასე! (გაჩერდება და ბოლტსიგარიდან ბაბირის ამოიღებს) საქმე გათავებულია!

ფრ. კეტ. ბრაუნ, გამოცდამ თქვენთვისაც კარგად ჩაიარა.

ბრ. (ბაბირაზს ეწევა) უკეთესი კი იყო, რომ წავსულიყავ და მეხატნა. დიდი სირცხვილია, რომ მხატვარმა მაისთანა დარით არ ისარგებლოს.

ფრ. კეტ. არა უშავსრა, დაკარგულ დროს შემდეგ გადაათავებთ.

ბრ. ახ! ვერ ვართ მხიარულათ—ყველას რაღაც დაღვრემილება ეტყობა (მაგიდასთან ჯდება) მაგრამ, სწორე გითხრათ, ამისთანა ნათლობა რადმე ღირს.

ფრ. კეტ. თქვენ მიაქციეთ ყურადღება იოჰანეს?.

ბრ. (ტკბილად) საშინლად ღელავდა! მე ყოველ წამს უსიამოვნებას მოველოდი—უცბად პასტორს ქადაგება არ გაეწყვეტინოს მეთქი! იმისთანა წამები იყო, რომ მართლა შემეშინდა: პასტორმა დღეს სწორედ ახირებული ქადაგება გამოაცხო....

ფრ. კეტ. ბატონო ბრაუნ! მართლა ცუდი იყო?

ბრ. რას ბრძანებთ, ფრაუ კეტე, საშინელი! საზოგადოდ მე მაინც კმაყოფილი ვარ: როცა შემთხვევა მეკნება, დღევანდელ სურათს დავხატავ. არც ურიგო იქნება.

ფრ. კეტ. ბრაუნ მართლა ამბობთ?

ბრ. ეს სურათი უნდა გამოსცემდეს განსაკუთრებულ სურნელებას: თეთრი ღვინის, პიროქნის, ბურნუთის და ანთებული წმინდა სანთლის სუნს... ისეთ შთაბეჭდილებას უნდა სტოვებდეს, რომ კაცს გიჟმაჟი სიყმაწვილე მოაგონოს (ბასტორის ოთახიდან კაშოდის იოჰანეს ფოკერატი, ოდა რვის წლისა, შუატანისა, ქერა, ინტელიგენტური და დაფხლეკილი სახე აქვს. მოუსვენარი და ნერვებ აშლილია. სუფთაოდ ორის მორთული: ფრაკი აცვია, თეთრი კალსტუკი აქვს გაკეთებული, თეთრი ხელთათმანებით.

იოჰან. (ხელთათმანებს იხდის ოხვრით)

ბრაუნ. შენ ისევ მოჩოლფოტდი?

იოჰან. ტყუილათა გგონია! მართლა, კეტხენ, სად ვისადილებთ?

ფრ. კეტ. (უოუმანით) მგონი ვერანდაზე უკეთესი იქნება.

იოჰან. რათა? შენ უბრძანე, რომ იქ გაააწყონ სუფრა?

ფრ. კეტ. (დაკრთომით) არ მოგწონს? მე კი ვფიქრობ, რომ...

იოჰან. კეტე, გთხოვ თამამად ილაპარაკო... მე ხომ არ შეგეპარ!.. სწორეთ აუტანელია..

ფრ. კეტ. (ძალდატანებული გაბედულობით) მე უბრძანე ბაღში გაეშალათ

იოჰან. აი ასე! რასაკვირველია, ძალიან კარგათ გინებებია! ასე გონია კაცის მეამელი ვიყო...

ბრაუნ. (დაბალი ხმით) ჰო, კარგია ეგ ყოფა

იოჰ. (სიეგირეულით ეხვევა კეტეს) კეტე მართლა, შენ ისე გიჭირავს თავი, თითქო მე ოთახში უდიერი მტარვალი ვიყო ოტტოს მეორის ბიძა, ან სხვა ვინმე იმისი მგზავსი. გთხოვ მაგისთანებს თავი დაანებო!

ფრ. კეტ. იოჰანეს, შენ ხშირად უკმაყოფილოთა ხარ...

იოჰან. (ისევ კეტხარებით) დიახ! ვარ მეორე რაო? დიდი უბედურება არ მომხდარა! შენ კიდევ კარგი პასუხი მომეცი, თავი დაიფარე! ჩემი ბრალი ხომ არ არის, რომ ასეთი ხასიათი მაქვს! შენ კიდევ ეცადე შენი დამოუკიდებლობა დაიცვა! დაუსრულებელ მოთმინებაზე საზიზღარი აღარაფერია...

ფრ. კეტ. იოჰანეს, შენ ტყუილ-უბრალოდ გულს ნუ იშფოთებ! ან რა არის აქ სალაპარაკო, არ მესმის...

იოჰან. (აწუწეტინებს) ო.. ო.. სცდები, დიდათა სცდები. მე სრულიად აშფოთებული არა ვარ, პირიქით... სამწუხაროა ჩემთვის იმის გახსენება, რომ ეხლა ცუდ გუნებაზე უნდა გავხდე (ბრაუნი ცდილობს დაბრაკი გაწუწეტინოს) კმარა, კმარა! თქვენ ყველამ უკეთ იცით. კმარა! სხვა რაზედმე ვილაპარაკოთ... ახ. ოჰ.. ოჰ!.

ბრ. შენი ოხვრა გმინვით ქვეყანას თავს აბეზრებ.

იოჰ. (გულზე ხელს იტაცებს სახეზე ტანჯვა ეხატება) ო.. ხ!...

ბრ. რა დაგემართა?

იოჰ. არაფერი, ძველი ამბავი, გულში მჩხვლეტს.

ბრ. შენც ხურდა მიეკი

იოჰან. ხუმრობის დრო არ არის. ო..!

ფრ. კეტ. ოჰ, ჰანს, დამშვიდდი, ხო იცი საშიში არ არის.

იოჰ. რასაკვირველია, მის შემდეგ რაც მე ორჯერა მქონდა ფილტვების ანთება.

ბრ. სათადარიგო ჯარის ძალიან აფიცერი ხარ.

იოჰ. ვითომ რაო?

ბრ დაძველებული პოხონდრია. ნუ სულელობ მეთქი გეუბნები. შესჭამე რამე. მგონი შენ ქადაგებ ჩაგეჭრა გულში.

იოჰ. გულახდილათ რო გითხრა... ხომ იცი ჩემი შეხედულება ამ საგანზე . . . . . ფაქტი ისევ ფაქტათ რჩება, რომ ეს ცერემონია ბევრისათვის სალმრთოა.

ბრ. ვითომ რაო?

იოჰ. ნუ თუ ამ სადღესასწაულო შემთხვევის გულისათვის მაინც არ გამოიჩენ ცოტა-ოდენ კეთილმორწმუნოებას; ეხლახან...

ბრ. თავი დამანებე!

იოჰ. ყური დამიგდე... ნუ კი გწყინს, მე თუ... სხვა დროს უფრო დინჯად მოვისმენ შენს მსჯელობას, მაგრამ.. (კედის ფერანდაზე, გამნასტიერ ვარჯიშობას აკეთებს)

მუშას და სალდათს.

ამხანაგებო! თქვენს მოსისხლე მტერს
გულსა უგმირავს თქვენი ერთობა,
მაგრად ჩაჰკიდეთ ხელი ერთმანეთს
და მოსპეთ ყველგან მტარვალთ დმერთობა!

კმარა რაც სთესეს ხალხში საერთოდ
საზიზღროება, შური, ავობა
კმარა, რაც სტანჯეს შეუბრალებლად
შავ-ბნელ საკანში ახალ-თაობა!

დრო არის უკვე დამყარდეს ქვეყნად
თავისუფლება, ერთობა ძმობა,
და გაჰქრეს ყველგან სამარადისოდ
მონობა, დევნა, სიმართლის გმობა!

თუ თქვენ ერთმანერთს არ დაშორდებით,
მტარვალთ არ ძალუძსთ თქვენი დაპყრობა,
ეცადეთ მუდამ ძმურ კავშირისთვის,
ეცადეთ გქონდეთ მტკიცე თანხმობა!

თქვენ ხართ ამ ქვეყნის ბურჯ-საძირკველნი,
და თქვენ გეკუთვნისთ მის პატრონობა,
ხალხის მტერ ორგულთ არ მისცეთ ნება,
რომ განამტკიცონ კვლავ ბატონობა!

ევგენი დვალი.

განთიადი

მოახლოვდა განთიადი,
უნდა აღსდგეს ჩვენი ერი;
გაიფურჩქნოს საქართველო
და შეიქნეს ბედნიერი.

აჰა წითლად იღებება
მზის სხივებით შორს მიდამო;
მზე ამოდის, ახლოვდება
დრო ნეტარი და სამო.

ჩემი გულიც ზღვასებრ ღელავს
და ოცნებობს მხოლოდ მაზე,
რომ დიდებით აღმობრწყინდეს
მზე ჩვენს ბედკრულ ქვეყნის ცაზე...

ვ. ჩლაიძე

შრომის სამეფოში

(გაგრძელება. ის. „თ, და. ც. № 23)

გიორგი ის იყო გარეთ გავიდა და მუშებმაც წუთით შეღავათი იგრძნეს, თავისუფლად ამოისუნთქეს და დადუმბულნი, ალაპარაკდენ.

— რა უღვთოა, ეგ ჩვენი უფროსი! სთქვა ერთმა რუსის ქალმა.

— გვაწვალებს! —გაეხმაურა ვილაცა.

— წყნარათ ილაპარაკეთ! არ გაიგონოს!. დაუმატა მესამემ.

ქარხანაში წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— სანამდი უნდა ვიშრომო, როდის დავისვენებ! ნელი ხმით ამბობს მართა, თან ამოიკვნესებს, - ჰე ჰე!

— სანამ შეგსძლებთ ვნდა ვიმუშაოთ უპასუხა მართას ოლიამ.

— ვიჰ შვილო, თუ კი ავიტანე კარგია მარა მოვხუცდი, მოვტყდი, გული აღარ მივარგა, წელი მტკივა, მუხლები მიკანკალებს, ქირას სამოთხოვროს ვდებულობთ, ვშრომობთ და მაინც სიმშილით ვატარებთ.. ეხ შვილო, რა დროს ჩემი მუშაობაა, სამარეში ფეხი მიდგას. -დალონებულმა უთხრა მართამ ოლიას, თან ცრემლები მოერია და ოფლიანი სახე ჩამოესერა.

მოხუცი მართა ხუთი წელი იყო, რაც ქარხანაში მუშაობდა დღიურ ქირაზე და დღეში თოთხმეტ შაურს იღებდა. წინეთ როცა შვილები ყავდა, თვით ბინაზე მუშაობდა. მაგრამ ერთი შვილი ჯარში გაიწვიეს სამხედრო ბეგარის მოსახდელათ, მეორე რომელიც ღეპოში მუშაობდა, ენისეს გუბერნიაში გადასახლეს. უპატრონოთ დარჩენილი მართა იძულებული შეიქნა ქარხანაში შესულიყო მუშად.

განყოფილებაში კვლავ ლაპარაკი დაიწყეს, მაგრამ გიორგის ფეხის ხმაც მოისმა.

— წყნარათ, სსუო! -დაიძახეს.

— მოდის! დაუმატა ვილაცამ და განყოფილებაში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

შუადღე მოახლოვდა. განაპირა ფაბრიკ ქარხნებში საყვირების ხმა გაისმა. მუშებიც ახმაურდენ. მათ მოღრუბლულ სახეს სიხარულის ღიმილმა გაურბინათ. კარებთან მუ-

შებს ჩხრეკენ. ეს ასეა ყოველ გავლის დროს.

რამოდენიმე წუთის შემდეგ საყვირების ხმა შეწყდა. ქარხანაში სიჩუმე ჩამოვარდა.

ივლისის საღამოა. მხურვალე მზემ უკანასკნელათ გადახედა ქალაქს და დასავლეთისაკენ ჩაესვენა. დღისით მდუმარებით მოცულ ქალაქის ქუჩებს და ბაღებს ახმაურება დაეტყო... ფაბრიკ-ქარხანებშიც საყვირების ხმა გაისმა და დაღლილი მუშები თავ-თავიანთ ბინებისკენ გაეშურენ.

— ძალიან დავიღალე შვილო! -ეუბნებოდა მართა ოლიას, როცა ისინი ერთ ქუჩაში მიდიოდენ ძლიერ დაქანცული.

— მეც ძლიერ მოვიქანცე მართა: აძლევდა პასუხს ოლია.

— იცი ეხლა რა კარგია ზღვის პირად გასეირნება, სუფთა და გრილ ჰაერზე მოსულიერება!..

— ვიცი... ვიცი კარგია, მარა ძილი უკეთესია, მშია, პური ვჭამოთ და დავიძინოთ.

— ასე ჯობია, მაგრამ ერთი ჩავიაროთ ბაღის გვერდით, ზღვის ნიავიც მოგვიხება და შემდეგ პური წავიღოთ და წავიდეთ ბინაზე.

— როგორც გინდა.

იმათ ზღვისაკენ გაიარეს.

დაბნელდა. მზის სხივები უკვე წაიშალა დედა მიწიდან. ცის გუმბათი ვარსკლავებით შეიმოსა.. ქალაქის დიდრონი ქუჩები ელექტრონმა გაანათა, მხოლოდ განაპირა უბნებში ჩვეულებრივი სიბნელე იდგა.

— აი შვილო, ბედნიერი ხალხი, რომელსაც არაფერი აწუხებს, უთხრა მართამ ოლიას, როცა იმათ ბაღის გვერდით ქუჩაში ჩაიარეს და ბაღში მოსეირნე ხალხს გადახედეს.

ან კი რა უპირს იმათ ცხოვრება არ აწუხებთ და მუდმივ ასე ცხოვრებენ.

—ასე შვილო, ამათი ცხოვრება ასე მოწყობილა, ჩვენი კი ასე-მუდმივ თრევაში

ისინი ნელი ნაბიჯით მიდიოდენ, ძველ კაბებში სახე-შემკრთალნი და ათვალიერებდენ ბაღში მოსეირნე ხალხს, რომელნიც შეჭკეოდენ სხვა და სხვა ცივ სასმელებს.

—წავიდეთ შვილო, დავიძინოთ უკეთესია, აქ ჩვენი საქმე არ არის...

—ძაივდეთ. ან კი რა ხელს მოგვცემს ამ ბედნიერ ხალხს, რომ უყუროთ. ამათ სხვა ხომ არაფერი აწუხებთ?.

— რა უნდა აწუხებდეთ!

— იმათ ბინისაკენ გასწიეს, ბაღს მოწყენილად გადახედეს და ვიწრო ქუჩაში შევიდენ. ის იყო კიდეც რამოდენიმე მანძილით მოშორდენ ბაღს, რომ მათ გზაში სამი ახალგაზდა შეხვდა, რომელნიც ბაღისაკენ მიდიოდენ, ახალგაზდებში ერთი საშუალო სასწავლებელის ფორმაში იყო გამოწყობილი ორი კი ევროპიულად. როცა ახალგაზდებმა მართა და ოლია დაინახეს, გადაკრული ლაპარაკი დაიწყეს:

— ალბათ ის ქალები ეძებენ? დაეკითხა მოსწავლე ახალგაზდა ამხანაგებს.

— ექვს-ექვსი შაური ეყოფათ და კიდეც წავიყვანოთ.

— დაუმატა მესამემ.

მართას და ოლიას არც კი გაუგონიათ მგზავრთა საუბარი ისე ჩაუარეს გვერდით და ჩქარი ნაბიჯით გაეშორენ, რომ მოულოდნელათ დაეწიათ უცნობი;

— საით მიდიხართ ბარიშნებო? - დაეკითხა ერთი. ამ მოულოდნელ კითხვაზე მართა და ოლია შეკრთენ და ვერ მიხვდენ რისთვის ეკითხებოდენ.

— საით ბარიშნებო?—განუმეორა შეკითხვა მეორე ახალგაზდამ.

მართა გამოცდილი ქალი იყო, საჩქაროთ გამოირკვა და ხმა მაღლა ჰკითხა მათ:

— რაზე კითხულობთ?

— ისე მხოლოდ, აბნეულად უპასუხეს.

— ბრმა ხომ არა ხართ? განა ვერ მხედავთ მოხუც დედაკაცს?

— ეს არფერია. გკითხეთ მხოლოდ საით მიდიხართ.

— ბინაზედ.

— ხომ არ შეიძლება ჩვენთან გაისეირნოთ? -შეეკითხა მოსწავლე.

— ფულს მოგართმევთ. დაუმატა მეორემ.

— დროს გავატარებთ, თქვენთვისაც კარგია. მიაყოლა მესამემ.

— უზდელები... ანგარიში დაგბნეევიათ!.. ხმამაღლა უთხრა მართამ, ოლია კი შემკრთალი შეყურებდა.

— წავიდეთ! საჩქაროთ უთხრა მარომ ოლიას და იმათთვის არც შეუხედნიათ ის, გასწიეს.

ახალგაზდები ჩაფიქრდენ.

— მანიოვრას აკეთებენ. ცოტა სიჩუმის შემდეგ სთქვა ერთმა.

— ვერ წაგვივა ხელიდგან. დაუმატა მეორემ. ახალგაზდები დაედევნენ.

ის იყო მართას და ოლიას რამოდენიმე მანძილი გაევლოთ, რომ მათ უცნობნი დაეწიენენ და ერთმა მათგანმა ოლიას მკლავზე ხელი წაატანა. შეშინებულმა ოლიამ შეყვირა.

— ოხ თქვე ავაზაკებო! ყვირილით შესძახა მართამ. ახალგაზდამ ოლიას ხელი მაშინვე გაუშვა და სამივენი შეკრთენ. ყრუ ქუჩაზე ამავ დროს ლაპარაკი და ფეხის ხმა მოისმა. ახალგაზდები საჩქაროთ წავიდენ, მხოლოდ დაფიქრებულნი მართა და ოლია ბინისაკენ გაეშურენ.

ვიწრო პატარა ოთახში, რომელიც მთელი დღე დაკეტილი იყო, მეტათ მყრალი სუნი იდგა. მართამ მისვლისთანავე ოთახის კარები გაალო, ლამპას აუკიდა და პურის ქამას შეუდგენ.

— ოხ რა უზდელი ხალხი გადაგვეყარა! გაგულისებული ამბობს მართა.

— უსინდისოები! ალ ბათ ქუჩის ქალები ვეგონეთ — დაუმატა ოლიამ.

— ასეა, შვილო, ქალაქი, ასეთი ხალხი ასხია; ზოგი სეირნობს, ზოგი იცინის, ზოგი ავკაცობს, ზოგი შრომობს და ტირის, ხომ დაინახე ამ დაღლილებს, როგორ დაგვედევნენ!

გაიარა წუთებმა, ოთახში ლაპარაკი ალარ ისმოდა და არც სანთელი ანათებდა. მათ მუთაქებზე თავი მისდეს გაუნძრევლათ ოლიას ეძინება, თან ფიქრობს: ვინ იყვენ ის ახალგაზდები? რა უნდოდა ჩვენგან? ნუ თუ ქუჩის ქალები ვეგონეთ? ან კი რა გვინდოდა ბალისკენ?

მის სხეულს მოდუნება დაეტყო. სანახევროდ სძინავს და ელანდება სხვა და სხვა მოვონებები; აგონდება სტეფანა, ცეცა, სოფელი, ობლობა... ღრმა მოგონებით მოცულს ჩაეძინა...

ზაფხულის პატარა ღამემ გაიარა, გათენდა. დადუმებულ მუშათა უბანში ფაბრიკ-ქარხნებდან საყვირების ხმა გაისმა. ძილ დაუსრულებელი ოლიამ თყალები ზანტათ გაახილა და მწარეთ ამოიკვნესა:

— ღმერთო!...

ა. უუეისპირელი.

(გაგრძელება იქნება)

სახალხო თეატრის ისტორია.

ვერის სახალხო თეატრი.

1903 წ. ვერის ქართველ სცენის მოყვარეთაგან შესდგა ჯგუფი წარმოდგენების სამართავად.

ამ ჯგუფში შედიოდნენ ბ-ნი: კარსეკანიშვილი, ს. ფოდაძე გ. ოთრდანოვი, ხუციშვილი, გ. მკერვალიძე, რ. ფავლენიშვილი, ბ. სამსონაძე, შ. სოფაროვი, ქორეოვშვილი და დ. მაისურაძე. მომართეს ქ-ნს ჩაჩიბაიას, რომელსაც ძალიან კეთილარდა და თანაგრძნობაც გამოუცხადა. მაშინათვე შეუდგა საქმეს, დანიშნა კრება, მოიწვია ქ-ნი ბაკუნავა, მახათაძისა, კალანდაძისა, კანდელაკისა და სხ. თავჯდომარედ ამორჩეულ იქნა ქ ნი ანიკო ჩაჩიბაია. შეუდგნენ შენობის ძებნას, მაგრამ შესაფერი ვერსად გამონახეს. მიუხედავათ იმისა, რომ რეპეტიციებიც ჭქონდათ, ნელნელა დაიშალნენ და ვერაფერი გაკეთდა.

1906 წ. ხალხის გამართობელმა საზოგადოებამ, რომელშიც სულ რუსები შედიოდენ, იქირავეს ვერაზედ ოდგას ქუჩ. № 44 კაბაიანის სახლის ქვემო სართული, რომელიც შესდგებოდა ხუთი ოთახისგან. კანგრ-გამოანგრიეს და გაკეთეს სცენა, რომელიც იტევდა 150 კაცს. დაიწყო რუსული წარმოდგენები. ამას ყურადღება მიაქციეს რამდენიმე ახალგაზდა სცენის მოყვარეებმა და კამართეს ბირველი წარმოდგენა 1997 წ. 30 თებათვეს. წარმოადგინეს „ჭკვისა მჭირს“. სცენის მოყვარეთა რიცხვში შედიოდენ ქ-ნი ანკარა და ბერიძისა. ვაუთაგან: ძმები არეშიძენი, მეტრეველი, დ. ხანდოელი, სინკა, კელა და ებიაშვილი სუფლიორად, რომელმაც მადლ თავი დანება.

რადგანაც ამათ ჯერ ნაკლები კამოცდილება ჭქონდათ, თეატრალურ საქმეში, ამისათვის

დანიშნეს კრება, მოიწვიეს ვერაზედ მცხოვრები მეწყმე ითა. გარსევანიშვილი, რომელიც უფრო გამოცდილი იყო ამ საქმეში. კიკო ითრდანოვი არჩეულ იქმნა რეჟისორად და წარმოდგენები დაიწყო სისტემატიურათ ეოველ შაბათს. ამჰ. მოემატა დიასამიძე. რაკი შეატყეს, რომ ხალხში დიდი სურვილია სახალხო თეატრისაო, უნდოდათ უფრო რიგიანათ მოეწყოთ საქმე. ამ მიზნის მისაღწევათ მოიწვიეს ინტელიგენტია ბარათოვითა, მაგრამ ეურადღებაც არავინ მიაქცია.

წარმოდგენების ფასი 25 კ—ნ კ. იყო ხალხიც შედამ ბევრი ესწრობოდა. მესამე წარმოდგენაზე მოწვეულ იქმნა ს. ივანიძე რეჟისორათ. ნინა სიფაროვის და ნიკო კოტიორიძის მონაწილეობით დაიდგა „ცეიმბირელი". რადგანაც სცენის მოეეარენი და საზოგადოებაც შეეჩვივნენ არტისტებს, ამიტომ ცდილობდნენ უფრო ხშირად მიემართნათ არტისტებისთვის. რეჟისორათ მოწვეული იყო კიდევ ა. იმედაშვილი, მატარაძე, და სვიმონიძე. ხშირათ ეხმარებოდა ქ-ნი ნერქეზიშვილი და განსვენებული კაბუნია-ცაგარლისა, და სცენის მოეეარეთაგან კიორგი დესურელი. 1909 წ 16 დეკემბერს გარდახდილ იქმნა განსვენებულ ნატო კაბუნიას 30 წ. მოდვაწეობის იუბილე.

როკორც ახლათ დაწეებული საქმე, ძრიელ დიდი შრომა სჭირდებოდა, რომელსაც დიდის სიამოვნებით ასრულებდა კიკო ითრდანოვი.

ერთი წლის შემდეგ ითრდანოვმა თავი დანება შინაური საქმეებისა გამო და სცენის მოეეარეებმა რეჟისორად მოიწვიეს შაქრო სიფარაგი, მერე კიორგი დესურელი.

დაიდგა სულ 20 წარმოდგენა, შესწედა ზაფხულში. ენკენისთვიდან ხელ ახლა კანახდა წარმოდგენები. რეჟისორათ ისევ კიკო ითრდანოვი აირჩიეს. სცენის მოეეარეთა წრეს თან-და-თან მოემატენენ: ქ-ნი ციასკარი და მარგო. ვაკეში მანკავეიძე, ვასო რატიშვილი (სუფლიორად), ფრონასპირელი, ჭანკვეტაძე, ჯაეარეი, სხვათა უორის შორის ეხმარებოდენ წარმოდგენის სხვა-და სხვა საქმეში რამდენიმე ხელოსნებიც. 24 ნოემბერს წარმოდგენილი იქმნა „დარცხვენილი" და სხვა პიესები.

1910 წ. 30 მარტს ხალხის გამართობელ საზოგადოებას შენობის ვადა გაეეიდა. ხალხის პატრონმაც სცენის მოეეარეთ ადარ აქირავა შენობა და ამით შესწედა ვერის აუდიტორიაში ხალხური წარმოდგენების მართვა.

გ. ჯაბაური.

წარმოდგენები თელავში

ამ მხრივ არა თუ თელავი, არამედ მთელი მის მაზრა პირველეოოვილ პირობეში იმეოოვება. არც ერთ სოფელში თუ დაბაში არ მოიპოვება ისეთი ინტელიგენტთა წრე, რომელსაც შეძლოს დრო-კამოშვებით მაინც გასართობ სადამოების გამართვა და თეატრის შენობის ხელენა ხომ არსად არის, მაგრამ ოავი დავანებოთ სოფელს, ან რა გვეოქმის მაზე, როცა თელავი, ეს კახეთის კულტურული ცენტრი, სადაც მოიპოვება საკმარისი ინტელიგენტთა ძალა, მოიპოვებინ მსახიობნი და სცენის მოეეარენი, არავერით განიარჩევა სოფლისაგან.

თელავში ეგვლამ იცის თეატრი არ არსებობს, არ არსებობს რამე დიდი შენობა, სადაც შესაძლებელი იყოს წარმოდგენების მართვა და ეგვლა ამის მაგიერობას ასრულებს საზოგადო სკრებდო, მაგრამ აქაც დარბაზი მეტად პატარაა და სცენაზე ხომ შეეძლებელია სერიოზულ პიესების დადგმა.

ამნაირად თელავში, სადაც 18—20 ათასი მცხოვრები ითვლება, თეატრი არ მოიპოვება, მაგრამ თუ გეული გულობს, ქადა ორი ხელით იჭმევა, სურვილი რომ იყოს, რომ ეახალისებოდეს ვისმე, მაშინ თეატრიც ხომ განჩდებოდა. აქამდე თელავში ერთი ისეთი საზოგადოება არ დარსებულა, რომელსაც გული შეტკიოდეს მის თავის, აქამდე ერთი სერიოზული ამხანაგობა არ დაარსებულა, რომელიც თეატრის აღორძინებს ჩასდგომოდეს სათავეში.

არა, წრეები-კი ბევრჯელ დაარსებულა, ერთხელ სახალხო თეატრის ფონდიც-კი დეეაარსეთ, ეგრედ წოდებული სცენის მოეეარეთა დასის ხომ ხშირად შესდგება, გამართვას რამდენიმე წარმოდგენას და დაიშლება ხოლმე, მაგრამ წინედ თუ მედმიგ დასის არ ეოლას ეერჩიოდით და წარმოდგენები გვენატრებოდ, დღეს პირიქით ეს სცენის მოეეარენი სოფლისაეთ მრავლდებიან და წარმოდგენებიც ხშირად იმართება ხოლმე.

აი სწორედ ეს არის ჩვენი წერილის საგანი, სწორედ ეს წარმოდგენების სიმრავლე სიხარულის მაგიერ მწარედ გვალონებს. წინედ ძველ რეჟიმის დროს წარმოდგენების გამართვას დიდი დაბრკოლებანი ედობებოდა წინ, პიესების

ნებისრთვა ან მსახიობს უნდა ავდო ან რომელიმე სავეველ-მქმედო საზოგადოებას უნდა გავმართა. ასე იყო თუ ისე, სერიოზულად მაინც სჯიდებდენ საქმეს ხელს და ისეთი ანსაბდოთ იდგმებოდა პიესები, რამდენადაც ამას ხელს უწყობდა თეატრის სცენა და დეკორაციები.

ეხლა დაბერა რევოლიუციის განმათავისუფლებ. ნიავმა და თეატრიც განთავიუფლდა ბოდიციის ზედამხედველობისაგან. ეს თეატრის განთავისუფლება საკმეუსარად ბევრმა სულ სხვანაირად გაიგო და ვინ არ გინდათ რომ ეხლა წარმოდგენებს არა მართვეს, ვინ არ გინდათ რომ ეხლა სცენაზე არ გამოდიოდეს, სწორედ რომ თავისუფლად თამაშობენ, არც რიდის ცოდნა, არც გრიმი და ტანისამოსი, პიესების არჩევნებში ხომ არაფრით ხელმძღვანელობენ, ისტორიული იქნება თუ თანამედროვე, დრამა თუ კომედია, არაფერს დაგიდევენ ოდონდ-კი ითამაშონ...

რასაკვირველია ასე პიესების დადგმით გამოიხატება ჩვენი წარსულის შეურაცყოფა და ავტორთა უპატივცემლობა. სჯობია, ბევრით სჯობია, ასეთი წარმოდგენები სულ არ იმაროებოდეს. მხოლოდ ჩვენ ერთი რამ გვაინტერესებს, ნუ თუ თეატრის თავისუფლება ნიშნავს მის თავისუფლად წვალებას და თუ ასეა, ნუ თუ პიესებისწამებას საზღვარი არ უნდა ქონდეს.

დავიწყებული.

შორაპნის საადგურის პატარა თეატრს ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ, ამ ბოლოს დროს გამოცოცხლება დაეტყო. შესდგა ადგილობრივ ახალგაზდების სცენის მოყვარეთა ჯგუფი, რომელმაც განიზრახა შეძლების დაგვარად მართოს ამ ზაფხულს სისტემატიურად წარმოდგენები.

ჯგუფის წინსვლას და ნაყოფიერს მუშაობას ჯერჯერობით ხელს უშლის კარგი ხელმძღვანელი რეჟისორის უყოლობა და თუ ეს ნაკლი აცილებულ იქნა, რისათვისაც უკვე ზომებია მიღებული, მერე ჩვენი თეატრის საქმე უფრო კარგად წავა. ჯგუფს ჯერ-ჯერობით ხელმძღვანელობს ახალგაზდა სტ. ა. კვაპაძე. ერთი წარმოდგენა ზემო აღნიშნულმა ჯგუფმა კვაპაძის გამგეობით უკვე დადგა 14 ამ თვეს. ითამაშეს ქართულად: „ტიმოთეს ლელვი“ ვოდ. ერთ მოქმედ ი. გრიშაშვილისა და „კაკო ყაჩაღი“, პოემა პავლეავაძისა, რუსულად:

Голодный донжуанъ კონიჩისა და Паутина დრამტიული ეტიუდი ერთ მოქმედებაო რუტკოვსკის. მონაწილეობას ღებულობდენ ქართულში: ა. კვაპაძე, აკაკი და კოწია კამუშაძები, პ. კვინიკაძე. და რუსულში: კრიეიჩკოვსკი, ო. სამარაძის ასული და ნ. შჩელკოვა.

„ტიმოთეს ლელვში“ ა. კვაპაძე (სიმონ რატიანი) მოისუსტებდა. ამის მიზეზი როლის უცოდინარობა და უფრო კი ქართულ ენაში კოჭლობა იყო, რაიც როგორც საშეალო სწავლა მიღებულს არ ეპატიება.

კვინიკაძეს (ტიმოთე) როგორც გამოცდილს სცენის მოყვარეს მეტი მოეთხოვებოდა.

“კაკო ყაჩაღმა, ა. და კ. კამუშაძებს' როგორც სცენაზე პირველად გამოსულთ არა უშავდრათა. მათ თავიანთი დაკვირებული და გაბედული თამაშით მშვენივრად დაასურათეს ტყეთ გავარდნილნი ყაჩაღნი,.

რუსულში კრიეიჩკოვსკიმ და ო. სამხარაძის ასულმა თავიანთი მოხდენილი და ბუნებრივი თამაშით ბევრი აცინეს საზოგადოება.

თეატრი სავსე იყო ხალხით. წმიდა მემოსავალი ხარჯს გარდა დარჩა 85 მანეთი და 10 შაური, რომელიც გადაეცა ადგილობრივ კომიტეტს. შემდეგში სასურველია და უფრო მიზან შეწონილი იქნება შემოსავალი გადაიდოს ხოლმე სცენისათვის რაიმე ნივთების და ავეჯეულობის შესაძენად, რადგანაც ამ მხრით ჩვენი სცენა ძალიან ღარიბია—

პლატონ რაჭველი.—

რედაქციისგან

ამ ნომერიდან ჟურნალში პიესები ცალკე ნუმერაციით იბეჭდება, ასე რომ მსურველს ბოდოს შეუძლიან ამოიდოს და ცალკე წიგნად შეკრას.

რედაქტორ-გამომც. იოსებ იმედაშვილი.

ალალიკლუბი

1 კვირის პრუ- აპრილის 23 30

შირა — რუსული წარმოდგენა. ბილეთი 50-30 კ.

ოთხშაბათი — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50

ხუთშაბათი — საოჯახო საღამო

ოთხშაბ. — სინემატოგრაფი. სიმებ. ორკ.

ხუთშაბ. — ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

პარასკ. — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დე

აბ. — საოჯახო საღამო

სასახლის ქუჩა
თავად-აზნ. სახლი

ერთად ერთ რესტორან „კაფე პარიზს“ საზაფხულოდ აქვს ბაღი, სადაც სუფთა ჰაერზე შეიძლება საუზმის, სადილის და ვახშმის მირთმევა, არის ცალკე ფანჩატურები და კაბინეტები. **სანოვაგე საუკეთესო ღირსებისაა**

პატივისცემით სილ. გიგიბერია

ხარფუხის საზოგადო კლუბი

ოთხშაბათი — სინემატოგ. სიმებ. ორკ.

სამშაბათი — სინემატოგრაფი: სიმებ. ორკეს.

ოთხშაბათი — ქართული წარმოდგენა,

ხუთშაბათი — ოპერეტა რუსულ ენაზე.

პარასკევი — . საოჯახო საღამო

შაბათი — რუსული წარმოდგენა

კვირა — სიმებიანი ორკესტრი

შესასვლელი ფასი: ქალები და სტუდენტები — 25 კ. მამაკაცნი 50 კ.

დასაწყისი: წარმოგენა — კონცერტების — სინემატოგრაფ — საღ. 8 ნახ. ს.

ქარხნები
ბ. ფუტკარაძე
ბ. ფუტკარაძის ბრენდი
ბ. ფუტკარაძის ბრენდი
ბ. ფუტკარაძის ბრენდი